შპს კოლეჯი ცხუმ-ეგრისი

კვლევის ანგარიში

(პროგრამების შეფასება 2021-2022)

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პროფესიული საგანმანათელბლო პროგრამების შეფასების კვლევის ანგარიშს . გამოიკითხა 2021-2022 სასწავლი წლის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები, მოდულთა განმახორციელებლები და განხორციელდა მოდულებზე დასწრება- დაკვირვება.

შესავალი

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. ამისათვის იგი სისტემატიურად აფასებს სასწავლო პროცესის ხარისხს. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასებას. ხარისხის მართვის პროცესში ცენტრალურ ადგილს იკავებს სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესება. პროგრამების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მონაცემების რეგულარული დამუშავება სხვადასხვა სასწავლო წლის შედეგების შედარების მიზნით, რათა ნათლად გამოჩნდეს სწავლებისა თუ შეფასების სფეროში განხორციელებული ცვლილებების ეფექტი, ან მისი არარსებობა და კვლევის შედეგები გამოყენებული იქნას პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სწორედ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კვლევის ანგარიშს. 2021-2022 სასწავლო წელს გამოიკითხა ინფორმაციის ტექნოლოგიის, ელექტროობის, ფარმაციის (სააფთიაქო) , აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები და მოდულთა განმახორციელებლები. საანგარიშო პერიოდში ასევე განხორციელდა მოდულებზე დასწრება-დაკვირვება და პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (მტკიცებულებათა) ანალიზი.

კვლევის მიზანი

კვლევის მთავარი მიზანია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასება. აქედან გამომდინარე, განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით კმაყოფილების შესწავლა;
- სასწავლო პროცესით კმაყოფილების შესწავლა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების/მოდულის განმახორციელებელთა საქმიანობის/ კმაყოფილების შესწავლა;
- პრობლემების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის გზების დასახვა.

კვლევის მეთოდოლოგია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასებისას მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე ყველა მხარის - მოდულთა განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტების ჩართულობა და მათი დამოკიდებულების შესწავლა. ამისთვის კოლეჯი მიმართავს შერეული კვლევის მეთოდს - გამოკითხვისა და დაკვირვების მეთოდების გამოყენებით. სასწავლო პროცესზე დაკვირვება, კითხვარების შედგენა, გამოკითხვის წარმოება, შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო სასწავლო პროცესის უმთავრეს შედეგს და შესაბამისად, მის ყველაზე უფრო ფართოდ აღიარებულ ინდიკატორს პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრება/შეფასება წარმოადგენს ობიექტურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობის პრინციპების გათვალისწინებით.

კვლევიდან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება შემდეგი სახის ინფორმაციის მოპოვება:

- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
- შეფასების გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასება;
- პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების შეფასება.

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც მოიცავდა როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს და შედგებოდა რამდენიმე თემატური მოდულისგან/ჯგუფისგან. კვლევის ძირითადი ამოცანების შესწავლისათვის დახურული კითხვების გამოყენება განპირობებული იყო რაოდენობრივი მონაცემების მიღების საჭიროებით, ხოლო ღია კითხვები კვლევის მონაწილეებს საკუთარი სიტყვებით - პასუხების აღწერის, ახსნისა და შეფასების საშუალებას აძლევდა. შესაბამისად, კვლევის მონაწილეები არ იყვნენ შეზღუდულები პასუხების წინასწარ განსაზღვრული კატეგორიებით.
კვლევის ხარისხი დამოკიდებული იყო კვლევაში გამოყენებული შერჩევის სტრატეგიის ადეკვატურობაზე. კერძოდ:

- პროფესიულ სტუდენტთა შერჩევისას გამოყენებული იყო არაალბათური შერჩევა, ხოლო შერჩევის ტიპად - ხელმისაწვდომი შერჩევა.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულთა განმახორციელებელი პირებისა და პროგრამის კოორდინატორების შერჩევისას გამოყენებული იყო არაალბათური შერჩევა, ხოლო შერჩევის ტიპად - მიზნობრივი შერჩევა. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, შერჩევა კონკრეტული მიზნისთვის არის არჩეული. შესაბამისად, კვლევისთვის მნიშვნელოვანია ყველა განმახორციელებელი პირის ჩართულობა, რადგან იგი მოგვცემს საშუალებას მივიღოთ ინფორმაცია იმ ადამიანებისგან, რომლებმაც თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე ბევრი იციან საკვლევი საკითხის შესახებ.

პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შემთხვევაში გამოყენებული იყოს ელექტრონული გამოკითხვა. შესაბამისად, კითხვარის შევსება რესპოდენტისთვის მოსახერხებელ დროსა და გარემოცვაში იყო შესაძლებელი, რაც საჭიროების შემთხვევაში მას ინფორმაციის გადამოწმების და პასუხებზე დაფიქრების შესაძლებლობას აძლევდა.
კოლეჯის მიერ განხორციელებული ინფორმაციის ტექნოლოგიის, ფარ მაციის (სააფთიაქო), აღმზრდელის, ელექტროობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულთა განმახორციელებლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა შეაფასეს გავლილი მოდულები.
საანგარიშო პერიოდში ხარისხის მართვის მენეჯერისა და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირების მიერ მიმდინარეობდა მოდულთა საკონტაქტო საათზე დასწრება და სტრუქტურირებული კითხვარით წინასწარ განსაზღვრული მონაცემების შეგროვება.
კვლევისთვის რესპოდენტთა ამ კატეგორიის შერჩევა განპირობებული იყო იმით, რომ ისინი პროგრამის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენდნენ; უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას სწავლა-სწავლების პროცესში და შეეძლოთმნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ პროფესიულ სტუდენტთა მიერ საკონტაქტო საათებიდან მიღებული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზებაში.
ამგვარი კვლევა კოლეჯში რეგულარულად ტარდება, რადგან ის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას გვაწვდის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული განათლების მასწავლებლების (მოდულის განმახორციელებლების) საქმიანობისა და პროფესიულ სტუდენტთა სწავლება/სწავლის შესახებ.

ეთიკური მოსაზრებები

აღნიშნული კვლევის ჩატარების დროს გათვალისწინებული იყო ეთიკური მოსაზრებები. კერძოდ:

- თითოეულ კვლევის მონაწილეს ნებისმიერ ეტაპზე შეეძლო კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა;
- თითოეული პროფესიული სტუდენტისგან მიღებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური და ანონიმური.

მონაცემთა ანალიზი - მასწავლებლის კითხვარის ანალიზი

მოდულის განმახორციელებელთა გამოკითხვა მნიშვნელოვან ინფორმაციის მომცემ ინსტრუმენტს წარმოადგენს კვლევის მიზნებისთვის. მასწავლებლების მიერ გამოთქმული შენიშვნები ან/და რეკომენდაციები შეიძლება გახდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების განხორციელების მიზეზი. შესაბამისად, მათი აზრი მნიშვნელოვანია პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებიც წარმოადგენენ ინფორმაციის ტექნოლოგიის, ელექტროობის, ფარმაციის(სააფთიაო) და აღმზრდელის პროგრამის განმახორციელებლებს. მათ რამდენიმე თემატური ჯგუფის ფარგლებში შეაფასეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები და სასწავლო პროცესი. თემატური ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ✦ ზოგადი ინფორმაცია;
- ✦ ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ;
- ✦ ზოგადი ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის/დაგეგმვის შესახებ;
- ✦ ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური/სასწავლო რესურსის შესახებ;
- ✦ სასწავლო პროცესის ორგანიზება და შედეგების დადასტურება/შეფასება.

კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების საფუძველზე იკვეთება, რომ გამოკითხვაში მონაწილე პროფესიული მასწავლებლები იცნობენ კოლეჯის მისიას, კოლეჯის საქმიანობა და დეკლარირებული მიზნები შეესაბამება გამოცხადებულ მისიას. რესპოდენტთა 70 % -მა ინფორმაცია დაწესებულების მისიის შესახებ მიიღოს სამუშაო შეხვედრების ფორმატით.



შეკითხვაზე თუ რამდენად იყვნენ ჩართული სტრატეგიული დაგეგმარების მინიტორინგის ან /და შეფასების პროცესში, რესპოდენტების პასუხები ასე გადანაწილდა: 40 % აქტიურად იყო

ჩართული /30 % სამუშაო ჯგუფში ჩართულობით /30 % დოკუმენტის საჯარო განხილვის ფარგლებში.



რესპოდენტების უმრავლესობა სრულად არის გაცნობილი კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებს და თუ რა ფორმით მიიღეთ მათ ინფორმაცია სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ პასუხი ასე გაგანაწილდა: 44, 4% დოკუმენტის საჯარო განხილვის ფარგლებში; 44, 4% კოლეჯის ვებგვერდის საშუალებით, ხოლო 11, 1 სოციალური მედიის საშუალებით.



საბოლოო ჯამში, გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა იცნობს კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს და აფიქსირებს მისიისა და სტირატეგიული დაგეგმარების პროცესში ჩართულობის ხარისხს.

გამოკითხულმა რესპოდენტებმა შეაფასეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის/ დაგეგმვის პროცესში მათი მონაწილეობა. დაახლოებით 50% აღნიშნავს, რომ მათ მიუღიათ მონაწილეობა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულების ადაპტირების პროცესში, რომელსაც ახორციელებენ. ასევე, 62 % მიიჩნევს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულების შექმნისას ხდებოდა მათი აზრის გათვალისწინება.

გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობის აზრით, მოდულში თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტები კარგად არის დაბალანსებული. ასევე აღნიშნავს,მოდული პროფესიისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხს/თემას მოიცავს .

რაც შეეხება მოდულში კონკრეტული საკითხების/თემების დასასწავლად გამოყოფილ დროს, გამოკითხულთა უმეტესობა ფიქრობს რომ დრო საკმარისია.

ასევე, მასწავლებელთა 87, 5%-ს სწავლების პროცესის დაწყებამდე, დეტალურად ჰქონდა გაწერილი სასწავლო პროცესის გეგმა, 12,5%-ს კი ნაწილობრივ.

მოდულის განმახორციელებელთა (50%) გაითვალისწინა მოდულის დამხმარე ჩანაწერები სასწავლო გეგმის შემუშავებისას, 37,5 ადაპტირება სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის არ მოუხდენიათ, რადგან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტები ჯგუფში არ ჰყოლიათ, 12, 5 % ნაწილობრივ.

რესპოდენტების 100% თვლის, რომ რეკომენდებული თემატიკა და სწავლების მეთოდები მისაღწევ სწავლის შედეგებს შეესაბამება. და ასევე, რეკომენდირებული შეფასების ინსტრუმენტები შეესაბამება დასადასტურებელ სწავლის შედეგებს/შესრულების კრიტერიუმებს.



რაც შეეხება ტრენინგების საჭიროებას, მოდულური სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, გამოკითხულები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საჭიროებენ ტრენინგს, არ აკონკრეტებენ რა სახის ტრენინგი სჭირდებათ.გამოკითხულთა 37, 5% ვერ ხედავს ამის საჭიროებას.

გამოკითხულთა უმრავლესობისთვის (87, 5) სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები, ინტერნეტრესურსები ხელმისაწვდომია ხოლო 12, 5 ნაწილობრივ ხელმისაწვდომობას აფიქსირებს (გულისხმობს ელექტრონულ ლიტერატურას.) ყველა პროფესიული მასწავლებლისთვის სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები (მაგ: ქაღალდი, მარკერი, საშლელი, ქიმიური ნივთიერებები და სხვა) საკონტაქტო საათის პერიოდში მთელი ჯგუფისთვის საკმარისია.გამოკითხულთა 87,5 %-ის

შემთხვევაში არ ყოფილა ისეთი მასალა-ინვენტარი, რომელიც მითითებული იყო მოდულში და სწავლების დროს არ გამოუყენებიათ, მხოლოდ 12,5 % ჰქონდა მსგავსი შემთხვევა.ხოლო მიზეზი, რის გამოც არ გამოუყენებიათ მასალა-ინვენტარი არის შემდეგი (გულისხმობს საჭირო მასალა- ნედლეულის ჩამონათალს, რითაც უზრუნველყოფილი იყო

მასწავლებელი).

პროფესიული მასწავლებლები კონკრეტულ ერთ გზას არ იყენებენ სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო მასალების მიწოდებისას. გამოიყენება ჯგუფებში მასალების ატვირთვა, ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნა, დისკზე/ფლეშკაზე ჩაწერა და სხვა.



ყველა გამოკითხული მასწავლებელი აღნიშნავს, რომ თანმიმდევრულად მიჰყვება მოდულში განსაზღვრულ პროგრამის თემატიკას, ინტერესდება გასაგებია თუ არა სტუდენტებისათვის ახალი ახსნილი მასალა და აძლევს სტუდენტს საკუთრი აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლებას.

გამოკითხულთა 75 % ცდილობს პროფესია პრაქტიკული სამუშაოს შესრულებით ასწავლოს, 25% იშვიათად ცდილობს.აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა 100 % ყოველთვის ცდილობს სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი გახადოს, ეკითხება ახალი საკითხის ახსნამდე სტუდენტებს მოსაზრებას , ახდენს პრაქტიკული დავალების დემონსტრირებას; გამოკითხული მასწავლებელი მოდულის დაწყებისას წინასწარ აცნობებს სტუდენტებს თუ როგორ მოხდება მათ მიერ მიღწეული შედეგების დადასტურება/შეფასება,ყველა გამოკითხული მასწავლებელი მოდულით გათვალისწინებული შედეგების დადასტურებას შესრულების კრიტერიუმების თანახმად ახორციელებს და თვლიან რომ შეფასებისათვის განკუთვნილი დრო საკმარისია.პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა მოდულის განმახორციელებელი პირები ადასტურებენ, რომ ერთმანეთს უზურებენ თავიანთ შედეგებსა და გამოცდილებას.



საერთო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხულ პროფესიულ მასწავლებელთა სრული უმრავლესობა აღნიშნავს, რომ თანმიმდევრულად მიჰყვება მოდულში განსაზღვრულ პროგრამის თემატიკას, ინტერესდება გასაგებია თუ არა სტუდენტებისათვის ახსნილი მასალა, აძლევს სტუდენტს საკუთრი აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლებას. 75 % ცდილობს პროფესია პრაქტიკული სამუშაოს შესრულებით ასწავლოს. მასწავლებელთა უმრავლესობა ყოველთვის ცდილობს სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი გავხადოს, აცნობებს სტუდენტებს თუ როგორ მოხდება მათ მიერ მიღწეული შედეგების დადასტურება/შეფასება და ამ დადასტურებას ახორციელებს მოდულით გათვალისწინებული შესრულების კრიტერიუმების თანახმად. ასევე, გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა ერთმანეთს უზიარებს გამოცდილებას.

მონაცემთა ანალიზი - პროფესიულ სტუდენტთა კითხვარის ანალიზი

პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა მნიშვნელოვან ინფორმაციის მომცემ ინსტრუმენტს წარმოადგენს კვლევის მიზნებისთვის და მათი აზრი მნიშვნელოვანია პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის. გამოკითხვა განხორციელდა ელექტრონულად Google Forms-ის მეშვეობით და კვლევაში მონაწილეობა მიიღო ინფორმაციის ტექნოლოგიის, ფარმაციის (სააფთიაქო), ელექტროობისა და პროგრამის აღმაზრდელი 47-მა პროფესიულმა სტუდენტმა. მათ რამდენიმე თემატური ჯგუფის ფარგლებში შეაფასეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები და სასწავლო პროცესი. თემატური ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ✦ ზოგადი ინფორმაცია;
- ✦ ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის შესახებ;
- ✦ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის/პირების შესახებ;
- ✦ ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესახებ;
- ✦ სასწავლო პროცესის ორგანიზება და შედეგების დადასტურება/შეფასება.

კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების საფუძველზე იკვეთება, რომ 47 გამოკითხული პროფესიული სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდათ მოენიშნათ რამდენიმე პასუხი.
ყველა გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებით, მოდულის განმახორციელებლები გასაგებად ხსნიან მასალას და ახალ საკითხს, სტუდენტების ეკითხვებს პასუხობენ ამომწურავად. ასევე მასწავლებელი თავადაც კითხვებს სვამს, რათა დარწმუნდეს, რომ მათ ყველაფერი ნამდვილად გაიგეს.
პროფესიული განათლების მასწავლებელი მზადაა დამატებითი კონსულტაციები ჩაატაროს პროფესიულ სტუდენტებთან სწავლის შედეგების მიღწევისა თუ გაუმჯობესების მიზნით და ყოველთვის ცდილობს პროფესიული სტუდენტის მოტივირებას.



გამიკითხულთა 95 % თვლის, რომ მასწავლებელი თანმიმდევრულად მიუყვება მოდულში განსაზღვრულ პროგრამის თემატიკას.და ახალი დავალების ახსნისას თავად ახდენს პრაქტიკული დავალების დემონსტრირებას.



გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა 91. 3 %საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია და საჯარო; იგივე რაოდენობა აღნისნავს, რომ მასწავლებელი მათ ასწავლით კონკრეტული საკითხის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიებას ინტერნეტისა და სხვა წყაროების გამოყენებით.



გამოკითხული სტუდენტების 95,7 % შეფასებით მასწავლებელმა გააცნოთ საგანმანათლებლო პროგრამა და შესასწავლი მოდული, ხ ოლო 100 % იცნობს სწავლის შედეგების დადასტურების წესს.



გამოკითხული სტუდენტების 95,5% მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ დასახელებული/მოწოდებული სასწავლო მასალები (სახელმძღვანელო, დამხმარე მასალები) სრულიად შეესაბამება კურსს, ხ ოლო უმ რა ვ ლუ ს ობ ა თვლის, რომ დავალებები სირთულისა და მოცულობის მიხედვით შეესაბამება სტუდენტის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს.



მიღებული მონაცემებით იკვეთება, რომ პროფესიული სტუდენტები დადებითად აფასებენ კოლეჯის საქმიანობას. ყველა გამოკითხულმა მიიღო ინფორმაცია მოდულური სწავლებისა და მოდულური პროგრამის თავისებურებების შესახებ, ხოლო მოდულთა განმახორციელებლებმა მათ გააცნეს მოდულის სწავლის შედეგები, შესრულების კრიტერიუმები და მათი მიღწევის დადასტურების პირობები.

დიაგრამა# მოდულის ხარისხს ვაფასებ : გამოკითხულთა 87% აფასებს როგორც ძალიან კარგს, ხოლო 13 % კარგს. პროფესიული სტუდენტების ვლიან ,რომ ლექციებისა და პრაქტიკული (ლაბორატორიული) მეცადინეობების ფორმა და შინაარსი ერთმანეთთან შესაბამისობაშია.



შეკითხვაზე : გარკვეული საკითხები/თემები სასწავლო პროგრამაში უნდა იყოს თუ არა და გამოადგება თუ არა პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას , შედეგები ასე გადანაწილდა:



შეკითზავაზე შეესაბამება მოდულის ფარგლებში მიღწეული შედეგები თქვენს მოლოდინებს 87 % პასუხი დადებითია, ხოლო 13 მეტნაკლებად.



გამოკითხული რესპოდენტები აფასებენ დამოუკიდებელი მუშაობისათვის გამოყოფილ დროს და შეფასების სისტემას . მიაჩნიათ, რომ საათები საკმარისია კურსის შედეგების მისაღწევად , მ ა თგან 95,5 % თვლის, რომ შეფასების სისტემა ობიექტურია, ხოლო 4,5 % ნაწილობრივ არის ობიექტური.



გამოკითხული პროფესიული სტუდენტები თვლიან , რომ პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ასახავს მის მიერ შეძენილ ცოდნასა და უნარებს.კოლეჯში ხელმისაწვდომია სასწავლო

კურსის ფარგლებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა, ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებელი ინფორმაციის მიწოდებისას იყენებს დამხმარე სასწავლო საშუალებებსა და თვალსაჩინოებას.



პროფესიულმა სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს ადმინისტრაციული პერსონალის მხარდაჭერა, 81,8% მას ძალიან კარგად აფასებს, ხოლო 18, 2 კარგად.



გამოკითხვის ფარგლებში პროფესიულმა სტუდენტებმა შეაფასეს სასწავლო გარემო და რესურსები. მათი შეფასებით, შეთავაზებული სასწავლო რესურსები აკმაყოფილებს მათ სასწავლო საჭიროებებს; სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები ხელმისაწვდომია მათთვის; სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა მთელი ჯგუფისთვის საკმარისია.



გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა ნაწილი აფიქსირებს, რომ სასწავლო აუდიტორიები მოდულის მიზნების შესაბამისად ნაწილობრივაა აღჭურვილი, თუმცა არ აკონკრეტებენ, რას გულისხმობენ ნაწილობრივში.



მიღებული შედეგებიდან იკვეთება, რომ პროფესიული სტუდენტები კმაყოფილნი არიან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო პროცესით.



საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარის ანალიზი

კვლევის ფარგლებში ინფორმაციის ტექნოლოგიის,ა ფარმაციის (სააფთიაქო), ელექტროობა , აღმზრდელი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებზე განხორციელდა საკონტაქტო საათზე დასწრება. ინფორმაციის ტექნოლოგიის და აღმზრდელის პროგრამების შემთხვევაში განხორციელდა 3-3 მოდულზე დასწრება, ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამების შემთხვევაში 4 მოდულზე.

მიღებული მონაცემების გაანალიზებით ირკვევა, რომ ძირითადად საკონტაქტო საათის თემა შესაბამისობაშია წინასწარ გაწერილ კალენდარულ გეგმასთან. ყველა შემთხვევებში აქცენტი გაკეთებული იყო ახალი მასალის ახსნაზე, თუმცა ის ინტეგრირებული იყო წინა მეცადინეობებზე მიღებულ ცოდნასთან. პროფესიული სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ დიალოგებში,

მასწავლებლების მიერ მეცადინეობის პროცესში გამოყენებული მეთოდები და აქტივობები შეესაბამებოდა სწავლების მიზანს. მასწავლებლები აქტიურად იყენებდნენ სწავლების სხვადასხვა მეთოდებსა და სასწავლო რესურსებს. თეორიულ მოდულებზე, მოდულის განმახორციელებლები პროფესიული სტუდენტებისთვის კითხვებზე დასმით ზრდიდნრნ მათ ჩართულობას. ხოლო მოდულები, რომლებიც ხორციელდებოდა ლაბორატირებში, პრაქტიკული დავალებების განხორციელების მიზნით, სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში. პროფესიული სტუდენტები თავისუფლად საუბრობდნენ თემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

კითხვარების გაანალიზებით ასევე ირკვევა, რომ სასწავლო გარემო შეესაბამება სწავლების მიზანს. ის უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისასთვის საჭირო სასწავლო მასალებითა და საგანმანათლებლო რესურსებით.

ვერიფიკაციის შედეგები

კვლევის ფარგლებში შემოწმდა პროფესიული სტუდენტების მიერ შესრულებული შეფასების ინსტრუმენტები და სწავლის შედეგების დადასტურება-არდადასტურების პირობები. კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეფასებულიყო, რამდენად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდა პროფესიული სტუდენტი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ინფორმაციის ტექნოლოგიის, ფარმაციის (სააფთიაქო), ელექტროობის , აღმზრდელის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მტკიცებულებათა ვერიფიკაცია, რისთვისაც შემუშავდა ვერიფიკაციის ანგარიში.

ძირითადი მიგნებები

1. პროგრამის განმახორციელებელთა შეფასებით სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები, სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები (მაგ: ქაღალდი, მარკერი, საშლელი, ქიმიური ნივთიერებები და სხვა) საკონტაქტო საათის პერიოდში მთელი ჯგუფისთვის საკმარისია, ასევე ხელმისაწვდომია. გამოკითხულთა უმრავლესობისთვის არ ყოფილა ისეთი მასალა-ინვენტარი, რომელიც მითითებული იყო მოდულში და სწავლების დროს არ გამოუყენებიათ.

2. გამოკითხულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა სრული უმრავლესობა აღნიშნავს, რომ თანმიმდევრულად მიჰყვება მოდულში განსაზღვრულ პროგრამის თემატიკას. ასევე ინტერესდება გასაგებია თუ არა სტუდენტებისათვის ახსნილი მასალა და აძლევს მათ საკუთრი აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალებას.

3. მასწავლებელთა უმრავლესობა ყოველთვის ცდილობს სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი გავხადოს, აცნობს სტუდენტებს თუ როგორ მოხდება მათ მიერ მიღწეული შედეგების დადასტურება/შეფასება და ამ დადასტურებას ახორციელებს მოდულით გათვალისწინებული შესრულების კრიტერიუმების თანახმად.

4.75 % გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებელი ცდილობს პროფესია პრაქტიკული სამუშაოს შესრულებით ასწავლოს.

5. ერთი მოდულის ფარგლებში განმახორციელებელი ხედავს სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნების/დამატების საჭიროებას.

6. ყველა გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებით, მასწავლებელი კარგად ფლობს მოდულს.

7. მასწავლებლების მიერ მეცადინეობის პროცესში გამოყენებული მეთოდები და აქტივობები შეესაბამება სწავლების მიზანს.

8. პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა და აქტიურობა სასწავლო პროცესში შედარებით დაბალია თეორიულ მოდულებზე.

9. გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებით, შეთავაზებული სასწავლო რესურსები აკმაყოფილებს მათ სასწავლო საჭიროებებს; სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები ხელმისაწვდომია მათთვის; სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა საკმარისია, სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია მოდულის მიზნების შესაბამისად.

10. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროგრამის შინაარსისა და სწავლის პროცესის მიმართ სტუდენტები დადებითად არიან არიან განწყობილნი, ხოლო გამოკითხული რესპოდენტების გარკვეული ნაწილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები შინაარსობრივ ცვლილებებთან ნაკლებადაა კავშირში.

რეკომენდაციები

სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად აქტიურად უნდა იყოს ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე - პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები და ადმინისტრაცია. მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი აქტივობებისა და სწავლების მეთოდების გამოყენება, გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა დაინტერესებასა და მათ ჩართულობას.

სასურველია სიღმრისეულად განხორციელდეს პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა, რომელიც დაადგენს პროფესიულ მასწავლებელთა საჭიროებებს პროფესიული განვითარების კუთხით და უზრუნველყოფს მათ საჭიროებებზე მორგებულ სატრენინგო პროგრამის შეთავაზებას.

კოლეჯი შპს ცხუმ-ეგრისი
კითხვარი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის

მოგესალმებით!

ქვემოთ წარმოდგენილი კითხვარის მიზანია, გავიგოთ თქვენი აზრი მოდულური სწავლებისა და მოდულების შესახებ, რათა თქვენი მოსაზრებები გამოყენებული იყოს პროგრამების განვითარების მიზნით.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ კითხვარში მოცემულ ყველა შეკითხვას და რაც შეიძლება ზუსტი, გულახდილი პასუხები გასცეთ. თქვენი შეფასებები კვლევის ჯგუფის მიერ გამოყენებული იქნება ხარვეზების გამოსავლენად, პროგრამისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ახალი სამოქმედო ინსტრუქციების შესაქმნელად. მნიშვნელოვანია, მხოლოდ თქვენი აზრის დაფიქსირება. ამიტომ, უპასუხეთ დასმულ კითხვებს ისე, როგორც თქვენ მიგაჩნიათ სწორად.

შეკითხვის გასწვრივ უნდა მონიშნოთ თქვენ მიერ არჩეული პასუხის ვარიანტი. თუკი პასუხის მონიშვნისას შეცდომა დაუშვით, გადახაზეთ შეცდომა და მონიშნეთ ის ვარიანტი, რომელიც თქვენ პასუხს შეესაბამება.

წინასწარ გიხდით მადლობას კითხვარის შევსებისა და აზრის გაზიარებისთვის!

კითხვარის ნომერი /_____/

A. ზოგადი ინფორმაცია

A.1. გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი /_____/

A.2. გთხოვთ, მიუთითოთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ახორციელებთ _____

A.3. გთხოვთ, მიუთითოთ მოდული, რომელსაც ახორციელებთ
_____

B. ზოგადი ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის/დაგეგმვის შესახებ

B.1. მონაწილეობდით იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულების ადაპტირების პროცესში, რომელსაც ახორციელებთ?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

99. არ ვიცი/უარი

B.1.1 *„არა“ ან „ნაწილობრივ“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/ შენიშვნები*

_____

_____

B.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულების შექმნისას ხდებოდა თქვენი აზრის გათვალისწინება?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

99. არ ვიცი / უარი

B.2.1*„არა“ ან „ნაწილობრივ“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/ შენიშვნები*

_____

_____

B.3. მოდულში თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტები კარგად არის დაბალანსებული?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

99. არ ვიცი / უარი

B.3.1 *„არა“ ან „ნაწილობრივ“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*

_____

_____

B.4. მოდული პროფესიისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხს/თემას მოიცავს?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

99. არ ვიცი / უარი

B.4.1 *„არა“ ან „ნაწილობრივ“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*

_____

_____

B.5. მოდულში კონკრეტული საკითხების/თემების დასასწავლად გამოყოფილი დრო არის საკმარისი?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

99. არ ვიცი / უარი

B.5.1 „არა“ ან „ნაწილობრივ“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები

_____

_____

B.6. სწავლების პროცესის დაწყებამდე, დეტალურად გქონდათ გაწერილი კალენდარული გეგმა?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

B.7. მოახდინეთ სასწავლო გეგმის ადაპტირება სსსმ პროფესიული სტუდენტის საჭიროებებისთვის?

1. დიახ
2. არა
3. არ იყო ამის საჭიროება
99. არ ვიცი / უარი

B.8. სრულად გაითვალისწინეთ მოდულის დამხმარე ჩანაწერები კალენდარული გეგმის შემუშავებისას?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

B.9. შეესაბამება რეკომენდებული თემატიკა მისაღწევ სწავლის შედეგებს?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

B.9.1. ***„არა“ ან „ნაწილობრივ“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები***

_____

_____

B.10. შეესაბამება რეკომენდირებული სწავლების მეთოდები მისაღწევ სწავლის შედეგებს?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

B.10.1. ***„არა“ ან „ნაწილობრივ“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები***

_____

_____

B.11. შეესაბამება რეკომენდირებული შეფასების ინსტრუმენტები დასადასტურებელ სწავლის შედეგებს?

1. დიახ
2. არა

3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

B.11.1. ***„არა“ ან „ნაწილობრივ“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები***

_____

_____

B.12. მოდულური სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ხომ არ საჭიროებთ რაიმე საკითხზე დამატებით ტრენინგს/ კონსულტირებას?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

B.12.1 ***„არა“ ან „ნაწილობრივ“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები***

_____

_____

C. ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური/სასწავლო რესურსის შესახებ

C.1. სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები ხელმისაწვდომია.

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ ***(გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)***

C.1.1 ***განმარტეთ***_____

C.2. სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები (მაგ: ქაღალდი, მარკერი, საშლელი, ქიმიური ნივთიერებები და სხვა) საკონტაქტო საათის პერიოდში მთელი ჯგუფისთვის საკმარისია?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ ***(გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)***

C.2.1 ***განმარტეთ***_____

C.3. არის ისეთი მასალა-ინვენტარი, რომელიც მითითებული იყო მოდულში და სწავლების დროს არ გამოგიყენებიათ.

1. დიახ ***(გააგრძელეთ)***
2. არა ***(გადადით კითხვაზე D.4.)***

C.3.1 დაასახელეთ ინვენტარი, რომელიც არ გამოგიყენებიათ

_____

_____

C.3.2 დაასახელეთ ინვენტარის არ გამოყენების მიზეზი

_____

_____

C.4 პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, დამატებით რაიმე მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის საჭიროება თუ დგას?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

99. არ ვიცი / უარი

C.4.1*„დიახ“ ან „ნაწილობრივ“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*

_____

_____

C.5. რა ფორმით აწვდით პროფესიულ სტუდენტებს საგანმანათლებლო მასალებს?

1. ვურიგებ დაქსეროქსებულ მასალებს
2. ვუთითებ ლინკს
3. ვუწერ ფლეშკაზე/დისკზე ელექტრონული ვერსიით
4. ვაგზავნი ბიბლიოთეკაში
5. ვუგზავნი ელექტრონულ ფოსტაზე

77. სხვა_____**/დაასახელეთ/**

D. სასწავლო პროცესის ორგანიზება და შედეგების დადასტურება/ შეფასება

D.1. თანმიმდევრულად მიყვებით მოდულში განსაზღვრულ პროგრამის თემატიკას?

1. ყოველთვის
2. იშვიათად
3. არასდროს

99. არ ვიცი / უარი

D.2. ინტერესდებით გასაგებია თუ არა პროფესიული სტუდენტებისათვის ახალი ახსნილი მასალა?

1. ყოველთვის
2. იშვიათად
3. არასდროს

99. არ ვიცი / უარი

D.3. ცდილობთ პროფესია პრაქტიკული სამუშაოს შესრულებით ასწავლოთ?

1. ყოველთვის
2. იშვიათად
3. არასდროს

99. არ ვიცი / უარი

D.4. ცდილობთ სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი გახადოთ?

1. ყოველთვის
2. იშვიათად
3. არასდროს

99. არ ვიცი / უარი

D.4.1. *თუკი კითხვაში E.5. შემოხაზეთ კოდი 1 ან 2, გთხოვთ მიუთითოთ, რა ხერხებს იყენებთ მრავალფეროვანი პროცესის შესაქმნელად*

_____

_____

_____

D.5. ახალი საკითხის ახსნამდე, ეკითხებით რას ფიქრობს პროფესიული სტუდენტი ამ საკითხის შესახებ?

1. ყოველთვის
2. იშვიათად
3. არასდროს

99. არ ვიცი / უარი

D.6. პროფესიულ სტუდენტებთან ერთად წარმართავთ დისკუსიებს პროფესიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე?

1. ყოველთვის
2. იშვიათად
3. არასდროს

99. არ ვიცი / უარი

D.7. ახალი დავალების ახსნისას თავად ახდენთ პრაქტიკული დავალების დემონსტრირებას?

1. ყოველთვის
2. იშვიათად
3. არასდროს

99. არ ვიცი / უარი

D.8. მოდულის დაწყებისას წინასწარ აცნობთ სტუდენტებს თუ როგორ მოხდება მათ მიერ მიღწეული შედეგების დადასტურება/შეფასება?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

99. არ ვიცი / უარი

D.8.1. თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 - "ნაწილობრივ" , გთხოვთ დააკონკრეტოთ

_____

D.9. მოდულით გათვალისწინებული შედეგების დადასტურება შესრულების კრიტერიუმების თანახმად ხორციელდება?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

99. არ ვიცი / უარი

D.9. თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 - "ნაწილობრივ" , გთხოვთ დააკონკრეტოთ

D.10. შედეგის დადასტურებისთვის/შეფასებისათვის განკუთვნილი დრო იყო საკმარისი?

1. დიახ
2. არა

D.11. პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა მოდულის განმახორციელებელი პირები ერთმანეთს უზიარებთ თქვენს შედეგებსა და გამოცდილებას.

1. ყოველთვის
2. იშვიათად
3. არასოდეს

99. არ ვიცი / უარი

E. თუკი გსურთ ისეთი აზრის დაფიქსირება, რომელიც ზემოთ არც ერთ კითხვაში არ გაჟღერდა, გთხოვთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება/შენიშვნა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ზოგადად პროფესიული განათლების შესახებ.

_____

_____

_____

_____

მადლობას გიხდით კითხვარის შევსებისთვის!

კოლეჯი შპს ცხუმ-ეგრისი
კითხვარი პროფესიული სტუდენტებისთვის

მოგესალმებით!

ქვემოთ წარმოდგენილი კითხვარის მიზანია, გავიგოთ თქვენი აზრი მოდულური სწავლების და ცალკეული მოდულების შესახებ.

კვლევის ფარგლებში, თქვენი შეფასებები არის კონფიდენციალური, ის მხოლოდ კვლევის ჯგუფის მიერ იქნება გამოყენებული შეჯამებული სახით, ხარვეზების გამოსავლენად, პროგრამისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ახალი სამოქმედო ინსტრუქციების შესაქმნელად.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ კითხვარში მოცემულ ყველა შეკითხვას და რაც შეიძლება ზუსტი, გულახდილი პასუხები გასცეთ. გახსოვდეთ, რომ კითხვარში არ არის სწორი და არასწორი პასუხები. მნიშვნელოვანია მხოლოდ თქვენი აზრის დაფიქსირება. ამიტომ, უპასუხეთ დასმულ კითხვებს ისე, როგორც თქვენ მიგაჩნიათ სწორად.

შეკითხვის გასწვრივ უნდა მონიშნოთ თქვენ მიერ არჩეული პასუხის ვარიანტი. თუკი პასუხის მონიშვნისას შეცდომა დაუშვით, გადახაზეთ შეცდომა და მონიშნეთ ის ვარიანტი, რომელიც თქვენ პასუხს შეესაბამება.

წინასწარ გიხდით მადლობას კითხვარის შევსებისა და აზრის გაზიარებისთვის!

A. ზოგადი ინფორმაცია

A.1. ჩაწერეთ, რომელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობთ?

_____

A.2. ჩაწერეთ მოდული, რომელსაც აფასებთ.

_____

A.3. გთხოვთ, მოცემულ გრაფაში მიუთითოთ თქვენი ასაკი /_____/

A.4. გთხოვთ, მიუთითოთ სქესი:

1. მდედრობითი
2. მამრობითი

B. ინფორმაცია მოდულის განხორციელებელი პირის/პირების შესახებ

B.1. პროფესიული განათლების მასწავლებელი ყოველთვის დროზე მოდის ლექციებზე და დათქმულ შეხვედრებზე?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

B.2. პროფესიული განათლების მასწავლებელი კარგადაა მომზადებული თითოეული მეცადინეობისათვის?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

B.3. პროფესიული განათლების მასწავლებელი იყენებს მაგალითებს და ილუსტრაციებს მასალის ნათლად გადმოსაცემად ?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

B.4. პროფესიული განათლების მასწავლებელი საინტერესოდ ხსნის მასალას ?
1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

B.5. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეკითხვებს პასუხობს ამომწურავად და გასაგებად?
1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

B.6. პროფესიული განათლების მასწავლებელი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა დარწმუნდეს, რომ სტუდენტებს ესმით კურსის ძირითადი იდეები?
1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

B.7. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში?
1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

B.8. პროფესიული განათლების მასწავლებელი მზადაა დამატებითი კონსულტაციები ჩაატაროს პროფესიულ სტუდენტებთან სწავლის შედეგების მიღწევისა თუ გაუმჯობესების მიზნით?
1. დიახ
2. არა

3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

B.9. პროფესიული განათლების მასწავლებელი ყოველთვის ცდილობს პროფესიული სტუდენტის მოტივირებას.
1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

B.10. მასწავლებელი თანმიმდევრულად მიყვება მოდულში განსაზღვულ პროგრამის თემატიკას.
1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

B.11. მასწავლებელი ახალი დავალების ახსნისას თავად ახდენს პრაქტიკული დავალების დემონსტრირებას.
1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

B.12. მასწავლებელი გვასწავლის/გვავალებს კონკრეტული საკითხის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიებას ინტერნეტისა და სხვა წყაროების გამოყენებით.
1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

C. ზოგადი ინფორმაცია მოდულის შესახებ

C.1. საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და საჯაროა.

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

C.2. პროფესიული განათლების მასწავლებელმა გაგვაცნო საგანმანათლებლო პროგრამა და შესასწავლი მოდული.

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

C.3. გავეცანი, თუ როგორ მოხდება მოდულის გავლისას ჩემი მიღწეული შედეგების დადასტურება.

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

C.4. პროფესიული განათლების მასწავლებელის მიერ დასახელებული/მოწოდებული სასწავლო მასალები (სახელმძღვანელო, დამხმარე მასალები) სრულიად შეესაბამება კურსს ?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

C.5. დავალებები სირთულისა და მოცულობის მიხედვით შეესაბამება სტუდენტის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

C.6. მოდულის ხარისხს ვაფასებ როგორც

1. ძალინ კარგი
2. კარგი
3. საშუალო
4. ცუდი
5. ძალიან ცუდი

C.7. ლექციებისა და პრაქტიკული (ლაბორატორიული) მეცადინეობების ფორმა და შინაარსი შესაბამისობაშია ერთმანეთთან?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ" გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

C.8. ვფიქრობ, გარკვეული საკითხები/თემები სასწავლო პროგრამაში არ უნდა იყოს, რადგან პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას ის არ გამოგვადგება.

1. დიახ (დადებითი პასუხის შემთხვევაში ქვემოთ ჩაწერეთ საკითხის დასახელება)
---
2. არა
3. არ ვიცი /უარი

C.9. შეესაბამება მოდულის ფარგლებში მიღწეული შედეგები თქვენს მოლოდინებს?

1. დიახ
2. მეტ-ნაკლებად
3. არა

C.10. საკმარისია დამოუკიდებელი მუშაობისათვის გამოყოფილი საათები კურსის შედეგების მისაღწევად?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ
99. არ ვიცი / უარი

(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ" გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)
*განმარტეთ*_____

C.11. ობიექტურია პროფესიული სტუდენტის შეფასება?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

99. არ ვიცი / უარი

*(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით) განმარტეთ*_____

C.12. ასახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა მის მიერ შეძენილ ცოდნასა და უნარებს?

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

99. არ ვიცი / უარი

*(თუკი თქვენ შემოხაზეთ კოდი 3 – „ნაწილობრივ“ გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით) განმარტეთ*_____

C.13. კოლეჯში ხელმისაწვდომია სასწავლო კურსის ფარგლებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა?

1. დიახ
2. არა
3. არ ვიცი/უარი

C.14. პროფესიული განათლების მასწავლებელი იყენებს დამხმარე სასწავლო საშუალებებსა და თვალსაჩინოებას ინფორმაციის მიწოდებისას ?

4. დიახ
5. არა
6. არ ვიცი/უარი

C.15. როგორ შეაფასებდით სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ადმინისტრაციის თანაშრომლების მხარდაჭერას?

1. ძალიან კარგად
2. კარგად
3. საშუალოდ
4. ცუდად
5. ვერ შევაფასებ

C.16. სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები მთელი ჯგუფისათვის საკმარისია (მოდულის სწავლებისათვის).

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

(თუკი თქვენ შემოხაზეთ – „ნაწილობრივ“ ან „არა“, გთხოვთ ქვემოთ განმარტეთ შენიშვნის სახით)

C.17. სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალა-ნედლეული (მაგ: ქაღალდი, სამშენებლო მასალა, ქიმიური ნივთიერებები, ძაფი, ქსოვილი და სხვა) საკონტაქტო საათის პერიოდში მთელი ჯგუფისათვის საკმარისია.

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

(თუკი თქვენ შემოხაზეთ – „ნაწილობრივ“ ან „არა“ გთხოვთ ქვემოთ შენიშვნის სახით განმარტეთ)

C.18. პრაქტიკული მეცადინეობების/სწავლის დროს იყენებდით მანქანა-დანადგარს, სამუშაო იარაღსა და ტექნიკურ აღჭურვილობას?

1. ყოველთვის
2. იშვიათად
3. არასოდეს
4. არ ვიცი / უარი

D. თუკი გსურთ ისეთი აზრის დაფიქსირება, რომელიც ზემოთ არც ერთ კითხვაში არ გაჟღერდა, გთხოვთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება/შენიშვნა კოლეჯის შესახებ.

მადლობას გიხდით კითხვარის შევსებისთვის!

კოლეჯი შპს „ცხუმ-ეგრისი“ საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება :
მოდულის სახელწოდება : სარეგისტრაციო ნომერი:
საკონტაქტო საათზე დასწრების თარიღი :
მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი :
ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა:
პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შემოწმების დროს :
მოდულით გათვალისწინებული გაკვეთილის განხორციელების გარემო :
პროგრამის ხელმძღვანელი :
შემმოწმებელი:

	საკონტაქტო საათის შეფასება	დიახ	არა
1	გაკვეთილი ტარდება მოდულში მითითებულ შესაბამის გარემოში		
2	საკონტაქტო საათის დრო და თემატიკა შეესაბამება წინასწარ გაწერილ კალენდარულ გეგმას		
3	პროფესიული განათლების მასწავლებელის მიერ მეცადინეობის პროცესში გამოყენებული სწავლების მეთოდები და აქტივობები შესაბამისობაშია გაკვეთილის თემასთან		
4	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ /ტექნიკური რესურსით		
5	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო მასალებით და საგანმანათლებლო რესურსებით		
6	მასწავლებელი ახდენს სტუდენტის მოტივირებას		
7	მასწავლებელი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას.		
8	მასწავლებელი გაკვეთილის ბოლოს ახორციელებს უკუკავშირს სტუდენტებთან		

კომენტარები და რეკომენდაციები:
შიდა შემმოწმებლის ხელმოწერა: